მატჩი მინსკში

მინსკი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

27 ივლისს “ა” კლასის ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირის აუტსაიდერმა მინსკის “სპარტაკმა” თავის მოედანზე მიიღო თბილისის “დინამო”. თბილისელები თამაშზე თავისი ჩვეულებრივი შემადგენლობით გამოვიდნენ, ხოლო სპარტაკელთა შორის იყო რამდენიმე ახალი მოთამაშე, დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაცვაში ითამაშა პ. მიმრიკმა.

თამაში დინამოელთა შეტევით დაიწყო. “სპარტაკმა” წარმატებით მოიგერია მოწინააღმდეგის დაწოლა და მალე ინიციატივა ხელთ იგდო. მინსკელებს ტაიმის დასასრულამდე ხელიდან არ გაუშვიათ უპირატესობა, მეტად აქტიურად თამაშობდნენ ფალამეევი, მოზერი, გოლოშჩაპოვი, ნახევარმცველი აბრამოვიჩი. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა – 0:0.

თამაშის მეორე ნახევარი მინსკელთა იერიშებით დაიწყო. რამდენიმე ტემპიანი კომბინაციის შემდეგ მე–10 წუთზე გოლისჩაპოვმა მიიღო გადაცემა მოზერისაგან და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

წარმატებამ კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შეიტანა მინსკელთა შორის. გუნდი თამაშობდა შეწყობილად, კოლექტიურად, დიდი მონდომებით. მიმრიკი, მალიავკინი, გოლუბევი, მაკაროვი საიმედოდ იცავდნენ თავის კარს. ორი ძნელი ბურთი აიღო მეკარე ხომიჩმა კურტანიძისა და კოტრიკაძისაგან. მატჩის ბოლო წუთებში ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა ვერ გამოიყენა გოლისჩაპოვმა.

მატჩი დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

თბილისის “დინამოს” დუბლიორებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

“ლელო”, 31 ივლისი, 1955 წ.